# «უმაღლესი სპორტული ოსტატობისთვის» და «ოლიმპიური იმედის» პრიზები — საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციას

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 150 (6461)

8 აგვისტო, ოთხშაბათი 1979 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



დღეიდან ვიწყებთ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე ჩვენი სპეციალური ფოტოკორესპონდენტის ა. კოტორაშვილის ნამუშევრების ბეჭდვას რუბრიკით „სპარტაკიადის ექო".

# საბჭოთა სპორტის ზეიმი

## გვესაუბრება საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის მთავარი მსაჯი ა. კოლესოვი

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები საბჭოთა ქვეყნის ხალხთა მეგობრობის დიდ და ბრწყინვალე ზეიმად იქცა. იგი გახდა, აგრეთვე, დიდი საერთაშორისო სპორტული ფორუმი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სხვადასხვა ქვეყნისა და კონტინენტის ხალხთა შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მიმართვამ სპარტაკიადის მონაწილეთა და სტუმრებისადმი მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა სპორტსმენთა და ფიზიკური კულტურისა და სპორტის ყველა მუშაკს შორის. მათ ეს აღიქვეს, როგორც ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის კომუნისტური პარტიის ყურადღებისა და მშობლიური ზრუნვის კიდევ ერთი ნათელი მაგალითი.

როგორც ცნობილია, სპარტაკიადის შემადგენელი ნაწილი იყო ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტული კლუბების საკავშირო შეჯიბრებები, სსრ კავშირის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის მიერ ჩატარებული ღონისძიებები სპორტის ტექნიკურ სახეობებში, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა და ახალგაზრდობის სპორტული თამაშები.

სპორტის მასობრივ და ტექნიკურ სახეობებში სპარტაკიადის სტარტზე 100 მილიონზე მეტი ადამიანი გამოვიდა. შეჯიბრებები სპორტის მასობრივ სახეობებში გაიმართა 219200 ფიზკულტურის კოლექტივში. მასში მონაწილეობა მიიღო 87,6 მილიონმა კაცმა, რაც 22 მილიონით აჭარბებს VI სპარტაკიადის მიღწევას. მნიშვნელოვნად ამაღლდა მონაწილეთა მომზადების დონე — 29 მილიონმა ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივი, ხოლო 24,4 მილიონი თანრიგოსანი გახდა.

სპარტაკიადის პერიოდში გამოჩნდნენ და შემდგომში განვითარდნენ მასობრივი შეჯიბრების ისეთი პოპულარული ფორმები, როგორიც არის სპარტაკიადა „მხნეობა და ჯანმრთელობა", შეხვედრები მშდ მრავალჭიდში „საამქრო საამქროსთან", „სკოლა სკოლასთან", „ქარხანა ქარხანასთან".

განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. წინა სპარტაკიადის შემდეგ 4 წლის განმავლობაში ქვეყანაში აშენდა 158 სტადიონი, 7637 სპორტული დარბაზი, 202 აუზი, ათი ათასობით სპორტული მოედანი და მინდორი, მათ შორის ისეთი ნაგებობები, რომლებიც უპასუხებენ თანამედროვე უმაღლეს მოთხოვნებს.

სასიხარულოა, რომ სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები სპორტის ბევრ სახეობაში მიმდინარეობდა მომავალ ოლიმპიურ სარბიელებზე. ყველა ახალმა სპორტულმა ობიექტმა უცხოელი სტუმრების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

მოსკოვის, აგრეთვე, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, ტალინის, რიგის, ვილნიუსის, კაუნასისა და იურმალის სპორტულ ცენტრებში მთელი თვის განმავლობაში გრძელდებოდა სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 8338 საბჭოთა სპორტსმენმა. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სპორტის 30 სახეობაში.

წლევანდელი სპარტაკიადის განმასხვავებელი ნიშანი იყო მასში 2306 უცხოელი სპორტსმენის მონაწილეობა. მსოფლიო პრესის გამოხმაურების მიხედვით, უცხოელი მონაწილენი და სტუმრები კმაყოფილი დარჩნენ სპარტაკიადით.

ფინალურ შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის ჩვენს ქვეყანაში

(დასასრული მე-2 გვ.).

## სპარტაკიადის ექო











სპარტაკიადის დღეებში საქართველოს სპორტსმენები თითქმის ერთდროულად მოსკოვის სხვადასხვა ბაზაზე იბრძოდნენ წარმატებისთვის. ამ ფოტოებზე აღბეჭდილია ამგვარ ხუთ „ფრონტზე" ბრძოლის მომენტები. პირველ სურათზე თქვენ ხედავთ თბილისელ სპრინტერს ე. გელაშვილსა (მარჯვნივ) და მის მეტოქეს ს. ჟურავლიოვს მათი ნახევარფინალური ბრძოლის წინ;

მეორე სურათზე აღბეჭდილია დ. საბაური ასპარეზობისას. მან სპარტაკიადაში პირადი რეკორდი დაამყარა და რესპუბლიკას ქულების გარკვეული მარაგი მისცა;

მეშვიდე სპარტაკიადის პირველი ჩემპიონი საქართველოდან ი. მაღალაშვილი გახლდათ, რომელმაც სამბოში ისახელა თავი. მესამე სურათზე იგი აღბეჭდილია იმ დროს, როცა მცირე ტრავმის გამო საექიმო დახმარებას იღებს;

ჟიდაოზე . გ. მაკასარაშვილი;

ამირან ხიზანიშვილმა ნახევარფინალამდე ძნელი ბრძოლით გაიკაფა გზა და საბოლოოდ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ამ ფოტოზე მისი ერთ-ერთი შეხვედრის მომენტია.

